



**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე**

(ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ. №1 ტელ. 7-45-25)

2011 წელი 11 მარტი

**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №32**

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და ს.ს. „ვითიბი ბანკი ჯორჯია“-ს ოზურგეთის ფილიალს შორის გაფორმებული საბანკო ოპერაციების წარმოების და მომსახურების ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ**

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის 3<sup>1</sup> პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

**ე ბ რ ძ ა ნ ე ბ**

1. გათვალისწინებულ იქნეს ს.ს. „ვითიბი ბანკი ჯორჯია“-ს ოზურგეთის ფილიალის მმართველის (ბიძინა სალუქვაძის) მოთხოვნა და შევიდეს ცვლილებები 2009 წლის 12 მარტის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და ს.ს. „ვითიბი ბანკი ჯორჯია“-ს ოზურგეთის ფილიალს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში და ხელშეკრულების 2.5, 3.2.5 და 5.4 პუნქტები ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით, ხოლო ხელშეკრულებიდან ამოღებულ იქნეს 3.1.2. პუნქტი. (შეთანხმება-ხელშეკრულებაში ცვლილებების განხორციელების შესახებ თან ერთვის);

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ი.სიორიძის ქ. №14)

3. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

**საკრებულოს თავმჯდომარე:**

**აღეკო მამეშვილი**